

PRINT HOUSE INVESTMENT

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2022 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

• დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა -----	3
• მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე -----	8
• კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	10
• მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების კონსოლიდირებული ანგარიშგება -----	11
• ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება -----	12
• კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	13
• კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	14
• კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება -----	26

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტის“ მენეჯმენტს: დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტის“ (კომპანია) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რაც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას; ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, აგრეთვე კონსოლიდირებული ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციის მიმოხილვას. კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე (მსს ფასს) დაყრდნობით.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში მოყვანილი საკითხებისა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად (ან უტყუარად და სამართლიანად) ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი:

განსაზღვრული შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ჯგუფი ახორციელებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას. შესაბამისად, მივიღეთ დოკუმენტაცია 2022 წლის ბოლოს განხორციელებულ ინვენტარიზაციებთან დაკავშირებით, მაგრამ რადგან აუდიტის პროცესი დაიწყო 2023 წელს, ბუნებრივია, რომ აუდიტორები ვერ დავესწარიან 2022 წლის ბოლოს განხორციელებულ აღნიშნულ პროცესს. მოწოდებული დოკუმენტების მიმართ რწმუნების მოსაპოვებლად, ჩვენ დამატებით, შერჩევის გზით, 2023 წელს მოვახდინეთ სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა სახეობების მარაგების ინვენტარიზაცია. ამ პროცესშიც, მატერიალური ცდომილება არ გამოვლენილა.

შპს გამომცემლობა კოლორმა 2020 წელს შვილობილ კომპანიაში (შპს კოლორპაკი) განახორციელა კაპიტალის ზრდა მანქანა დანადგარების გადაცემის გზით. კაპიტალში ძირითადი საშუალების შეტანა აღირიცხა გადაცემის მომენტში მათი საბალანსო ღირებულებით 2,855,767 ლარის ოდენობით. მსს ფასს-ის მოთხოვნების მიხედვით, კაპიტალში შენატანი უნდა აღირიცხოს გადაცემის თარიღში გადაცემული აქტივების რეალური ღირებულებით.

2021 წლის 1 თებერვალს კომპანიამ შეიძინა შპს იბერია-2005-ის 100% წილი განვადების პირობით, საიდანაც ღირებულების ნაწილი 376,028 აშშ დოლარის დაფარვა ხდება 2022 წლის 31 დეკემბრამდე. ზემოაღნიშნული საინვესტიციო ვალდებულება კომპანიაში აღირიცხა კონტრაქტის ნომინალური ღირებულებით, რომელიც შეუსაბამოა მსს ფასს-ის მე-11 განყოფილების მოთხოვნასთან; მასში მოცემულია, რომ თუ ინსტრუმენტის შეძენა ხდება გადახდის

მნიშვნელოვანი დროის გადავადებით, საწარმომ ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეფასება უნდა მოახდინოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნებიც. ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს მცირე და საშუალო საწარმოთათვის (მსს ფასს)) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგები არ შეიცავს უნებლიე თუ განზრახ დაშვებულ არსებით უზუსტობებს, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება.

გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების - ფასს მცირე და საშუალო საწარმოთათვის საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი ცდომილებების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის (ISA) შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე, ჩვენ:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამისი აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეულ უზუსტობის რისკზე უფრო მაღალია, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

- ვერკვევით კომპანიის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისთვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა და მოვახდინოთ აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „ორგანიზაცია“ შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპებით;

ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია კომპანიის მმართველობით ანგარიშგებაში

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტის“ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, შესაბამისად მომზადებული, 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს, კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება მმართველობით კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.

ჩვენ შევასრულეთ გარიგება, ნებადართული მარწმუნებელი გარიგებების, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული).

ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად გააჩნია, ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა, მათ შორის დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები, რომლებიც მოხდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორცაა გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა, შედარება და შეჯერება.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვედრაშია 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“ სახელით
(რეგ. № SARAS-F-329711)

გარიგების პარტნიორი
(რეგ. № SARAS-A-977853)

თამარ კოკელაძე

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“ მენეჯმენტის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთათვის (მსს ფასს) - დაცვით.

- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ფართო წრეებს, იმ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ იმის უფლებამოსილება, რომ საწარმოს მოსთხოვონ მათ სპეციფიკურ საინფორმაციო საჭიროებებზე მორგებული ანგარიშგების მომზადება და დაეხმაროს მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულების - მისთვის მინდობილი რესურსების უნარიანი მართვის შედეგებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების ამორჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;

- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში კონტროლის ეფექტური და მყარი სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს)-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2023 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

გენ.დირექტორი
ივანე თევდორაშვილი
28.09.2023
თბილისი, საქართველო

ფინ. დირექტორი
სანდრო გახელაძე
28.09.2023
თბილისი, საქართველო

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი

დასახელება	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022
აქტივები		
ფული და ფულადი სახსრები	7	1,171,123
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	8,468,736
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	9,526,838
გაცემული ავანსები		1,250,122
გაცემული სესხები		1,280,795
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		2,258,136
ძირითადი საშუალებები	6	19,969,909
არამატერიალური აქტივები		162,296
სხვა აქტივები		2,840,802
სულ აქტივები		46,928,757
ვალდებულებები		
სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ		262,540
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	5,916,005
მიღებული ავანსები		1,449,455
სხვა საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		508,289
აღებული სესხები	11	25,601,926
სხვა ვალდებულება		596,497
სულ ვალდებულებები		34,334,713
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		4,895,658
გადაფასების რეზერვი		-
გაუნაწილებელი მოგება		3,463,312
არაკონტროლირებადი წილი		4,235,074
სულ საკუთარი კაპიტალი		12,594,044
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		46,928,757

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს.

გენ.დირექტორი

ფინ. დირექტორი

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

დასახელება	2022 წელი
შემოსავალი	72,425,994
რეალიზირებული საქონლის თვითღირებულება	(49,450,963)
საერთო მოგება	22,975,031
ხელფასის ხარჯი	(6,679,659)
ტრანსპორტირების ხარჯი	(166,035)
იჯარის ხარჯი	(1,093,135)
კომერციული ხარჯი	(564,672)
საწვავის ხარჯი	(188,303)
კომუნიკაციის ხარჯი	(62,296)
ელექტროენერგიის ხარჯი	(633,532)
საოფისე და სამეურნეო ხარჯი	(119,888)
რემონტის ხარჯი	(266,602)
მივლინების ხარჯი	(86,054)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(42,239)
საკონსულტაციო ხარჯი	(372,000)
დაზღვევის ხარჯი	(31,401)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(2,414,965)
დაცვის ხარჯი	(16,271)
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	(28,775)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი/ამობრუნება	71,646
ქონების გადასახადის ხარჯი	(203,424)
საპენსიოს ხარჯი	(245,836)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(423,132)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(13,566,572)
საერთო მოგება	9,408,459
საპროცენტო შემოსავალი	80,151
მოგება საკურსო სხვაობიდან	3,802,479
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-
მიღებული დივიდენდი	-
სხვა არა-საოპერაციო შემოსავლები	1,527,551
სულ არა-საოპერაციო შემოსავლები	5,410,181
საპროცენტო ხარჯი	(2,334,808)
ზარალი ინვესტიციებიდან	(60,626)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(147,785)
სხვა არა-საოპერაციო ხარჯები	(297,636)
სულ არა-საოპერაციო ხარჯები	(2,840,855)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	11,977,785
მოგების გადასახადის ხარჯი	-
წმინდა მოგება	11,977,785
EBITDA	11,823,424

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს.

_____ ივანე თევდორაშვილი
გენ.დირექტორი

_____ სანდრო გახელაძე
ფინ. დირექტორი

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

დასახელება	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მოგება დაბეგვრამდე	11,977,785
ცვეთა და ამორტიზაცია	2,414,965
ცვლილება პერიოდის განმავლობაში: დეკემბერს მინუს იანვარის ნაშთები	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(9,526,838)
სასაქონლო მარაგები	(8,468,736)
გაცემული ავანსები	(1,250,122)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	508,289
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5,916,005
მიღებული ავანსები	1,449,455
გადასახდელი ხელფასები	262,540
სხვა ცვლილებები	(2,244,305)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,039,039
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
მიწა	(239,571)
შენობა-ნაგებობები	(6,623,037)
მანქანა-დანადგარები	(25,423,452)
კომპიუტერული ტექნიკა	(355,412)
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	(918,547)
ტრანსპორტი	(183,887)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	(597,377)
სხვა ძირითადი საშუალებები	(13,320)
სხვა არა-მატერიალური აქტივები	(316,614)
სხვა ცვლილებები	12,124,048
შვილობილი კომპანიის შეძენა	(2,258,136)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(24,805,307)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
გაცემული სესხები	(1,280,795)
დივიდენდის გაცემა	(4,279,399)
აღებული სესხის ძირის დაფარვა	25,601,926
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	4,895,658
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	24,937,390
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	-
ნეტო ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის განმავლობაში	1,171,123
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,171,123

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს.

გენ.დირექტორი

სანდრო გახელაძე
ფინ. დირექტორი

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	არამაკონტროლებელი წილი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2022	-	-	-	-	-
ჯგუფის მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	5,207,266	5,207,266
ცვლილება	4,895,658	-	6,770,519	-	11,666,177
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	-	(2,535,445)	(1,743,954)	(4,279,399)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	4,895,658	-	4,235,074	3,463,312	12,594,044

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს.

გენ.დირექტორი

ფინ. დირექტორი

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2022 წლის 12 აპრილს. კომპანიის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საინვესტიციო საქმიანობა - ინვესტირება პოლიგრაფიულ სფეროში მოღვაწე ორი უმსხვილეს კომპანიაში, მათი დაკავშირება და შვილობილი კომპანიებისგან დივიდენდების მიღება და გადატანა დამფუძნებლებზე. 2022 წელს კომპანიის მფლობელობის ქვეშ გადმოვიდა და მის შვილობილ კომპანიებს წარმოადგენს შპს ფავორიტი სტილი 50%-იანი წილით და შპს გამომცემლობა კოლორი ასევე 50%-იანი წილით.

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“-ის 85%-ს ფლობს შპს „პრინტ ჰაუსი“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ივანე თევდორაშვილი. 5-5%-ს ფლობენ შესაბამისად რუსლან ჯახაია, დავით ბეგიაშვილი და ნატალია თევდორაშვილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია ჩუბინაშვილის №50, ძველი თბილისის რაიონი, თბილისი, საქართველო.

ბ) ბიზნესგარემო

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტისთვის“ ბიზნესგარემო საკმაოდ ჯანსაღია და რადგან მისი საქმიანობა ძირითადად ინვესტირებას და დივიდენდების გატარებას გულისხმობს შვილობილი კომპანიებიდან მის დამფუძნებელ კომპანიაშივე ესტონური მოდელი იდეალურია ამ შემთხვევისთვის. რაც შეეხება შვილობილი კომპანიებს შპს „ფავორიტი სტილი“ და „გამომცემლობა კოლორი“ მუდმივად ზრუნავს პოლიგრაფიულ საწარმოებს შორის იყვნენ საუკეთესო, ყოველთვის ინოვაციური, ხელმისაწვდომი ყველგან, მთელ საქართველოში, სანდობითა და საუკეთესო ფასით. კომპანიის ძირითადი ბაზარი საქართველოშია.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

კომპანიამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ფარგლებში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ გამოიყენა ყველა მსგავსი სტანდარტები, რომელიც არის გამოშვებული და ეფექტურად ითვლება 2022 წლისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ზოგადად, ისტორიული ღირებულება დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად, ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისათვის.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფში შემავალი კომპანიების ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	01 იანვარი 2022
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას და საწარმოს საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

თუ არსებობს კომპანიის მენეჯმენტის არგუმენტირებული რწმენა, რომ დავალიანება აუცილებლად სრულად დაიფარება, მაშინ ასეთ კონკრეტულ კლიენტზე რეზერვი აღარ შეიქმნება. ასევე, მენეჯმენტის რწმუნებითა და არგუმენტირებით, შესაძლებელია კონკრეტულ დებიტორულ დავალიანებაზე რეზერვის ინდივიდუალური წესით განსაზღვრა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება შემდეგნაირად: მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ღირებულება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალებების შეკეთება, მისი მოხდენისთანავე, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოსათვლელად ჯგუფში შემავალი კომპანიები იყენებენ წრფივ მეთოდს, რათა მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მოხდეს მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებები იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფში განსაზღვრულია ცვეთისათვის წლების რაოდენობა:

1	საოფისე ავეჯი	2-10 წელი
2	კომპ. ტექნიკა	2-10 წელი
3	მანქანა-დანადგარები	2-15 წელი
4	ტრანსპორტი	5-10 წელი
5	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7 წელი
6	სხვა	5-10 წელი

ნარჩენი ღირებულება ის სავარაუდო ღირებულებაა, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდის გადახედვა ხდება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში იცვლება.

საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებად აკლასიფიცირებს აქტივებს (მიწა; შენობები; ან შენობის ნაწილი; ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს და იყენებს საიჯარო შემოსავლების მიღების ან მისი საბაზრო ღირებულების პოტენციური ზრდის გამო, ან ორივე მიზნით. გარდა ისეთი მიზნებისა, როდესაც გამოიყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის, და საქმიანობის სფეროში სხვა მიზნებისათვის.

საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შემენილი საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და უშუალოდ მიკუთვნებად ნებისმიერ დანახარჯებს.

საინვესტიციო ქონების ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მაშინ, თუ მოხდა ქონების გასვლა ან შეწყდა მისი ამ მიზნით გამოყენება და ამის გამო მოსალოდნელი აღარ იქნება ეკონომიკური სარგებელის მიღება. საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა, გასვლის შედეგად მიღებულ შემოსავალსა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის და მოხდება სხვაობის აღიარება მოგება-ზარალში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსურ აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (მიღებული და გადახდილი საკომისიოების ჩათვლით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) ან მოკლე პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებით. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ხდება განსაზღვრა, მოიცავს თუ არა ეს უკანასკნელი იჯარას. ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარა, თუ შეთანხმების შესრულება სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზეა დაფუძნებული, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მეიჯარე - კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივი. საიჯარო ვადის განმავლობაში, საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით მიმდინარე პერიოდის შემოსავლად და აღირიცხება „სხვა შემოსავლების“ მუხლში.,

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო ხარჯად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული, ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია, როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლის აღიარება

ჯგუფში შემავალი კომპანიების შემოსავლების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც მოხდა პროდუქციის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, ვინაიდან კონტროლის გადაცემა ტრანზაქციისთანავე ხდება.

შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს, მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის ფასდათმობის, საქონლის უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათი შეძენისა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის.

მარაგების აღრიცხვა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით, უწყვეტი აღრიცხვის გზით.

თუ მოხდა მარაგების გაუფასურება, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე

სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, სადაზღვეო სისტემაში შენატანები, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და ყოველგვარი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება დასაქმებულთა მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფში შემავალი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც შესაძლოა ხშირად ჰქონდეს ადგილი. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია, შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა, კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში, შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და ამან გამოიწვიოს ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები, როგორსაც წარსულში ადგილი არ ქონია. შედეგად შესაძლოა შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი ინტერპრეტაცია კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია და შესაბამისად, კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა თუ საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არსებობა არ დაფიქსირებულა.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანიის მენეჯმენტი ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას აკეთებს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ასეთია: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური

შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ, შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი.

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ძირ. საშუალებები	ჯამი
2022 წლის 1 იანვარი	-	-	-	-	-	-	-	-
შემოსვლა	4,300,071	6,903,409	25,811,579	1,274,751	364,467	651,726	13,320	39,319,323
გასვლა	(4,060,500)	(280,373)	(388,127)	(791)	(180,580)	(54,349)	-	(4,964,719)
2022 წლის 31 დეკემბერი	239,571	6,623,037	25,423,452	1,273,960	183,887	597,377	13,320	34,354,604
დაგროვილი ცვეთა								
2022 წლის 1 იანვარი	-	-	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	(192,473)	(1,914,434)	(147,186)	(35,141)	(58,020)	(381)	(2,347,634)
გასვლა	-	(586,061)	(10,604,699)	(687,331)	(23,813)	(124,662)	(10,494)	(12,037,060)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(778,535)	(12,519,133)	(834,516)	(58,954)	(182,682)	(10,874)	(14,384,694)
საბალანსო ღირებულება								
2022 წლის 1 იანვარი	-	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	239,571	5,844,502	12,904,319	439,443	124,933	414,695	2,445	19,969,910

თავად შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტს“ არ გააჩნია ძირითადი საშუალებები, ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, რომელიც იყო სრულად გაცვეთილი მაგრამ გამოყენებაში იყო, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 0 ლარს.

7. ფული და ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2022
ფულადი სახსრები სალაროში, ლარში	301,205
მიმდინარე ანგარიში ბანკში, ლარში	674,499
მიმდინარე ანგარიში ბანკში, დოლარში	137,083
მიმდინარე ანგარიში ბანკში, ევროში	58,186
დეპოზიტური ანგარიში ბანკში, ლარში	126
დეპოზიტური ანგარიში ბანკში, დოლარში	24
სულ ფული და ფულადი სახსრები	1,171,123

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2022
დაუმთავრებელი პროდუქცია	2,621,511
მზა პროდუქცია	5,511,389
სხვა მარაგები	335,836
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	8,468,736

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2022
მოთხოვნები მიწოდებული პროდუქციიდან	11,378,042
მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან	60,954
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	-
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(1,912,159)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,526,838

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31 დეკემბერი 2022

ვალდებულება მარაგების მომწოდებლების მიმართ	5,508,122
ვალდებულება ძირითადი საშუალებების მომწოდებლების მიმართ	61,928
ვალდებულება მიღებულ სერვისზე	339,489
ვალდებულება საიჯარო მომსახურებიდან	-
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	6,466
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,916,005

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

11. აღებული სესხები

31 დეკემბერი 2022

აღებული მოკლევადიანი სესხის ძირის ნაწილი	1,736,330
აღებული მოკლევადიანი სესხის პროცენტის ნაწილი	62,991
აღებული გრძელვადიანი სესხის ძირის ნაწილი	23,773,754
აღებული გრძელვადიანი სესხის პროცენტის ნაწილი	28,851
სულ აღებული სესხები	25,601,926

12. პირობები და ვალდებულებები

ჯგუფში შემავალი კომპანიების ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს ადგილი არ ქონია და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

13. მოგების გადასახადი

ყველა ქართული კომპანიისთვის 2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ძალაში შევიდა ცვლილებები კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. მათთვის აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე, რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული, აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის, გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

14. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები.

ვინაიდან კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობა, 2022 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ოპერაციებს ძირითადად წარმოადგენდა დივიდენდების მიღება შილობილი კომპანიებიდან და გაცემა დამფუძნებლებზე. სხვა ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან ადგილი არ ქონია.

მიღებული დივიდენდი

ფავორიტი სტილი	3,199,209.91
გამომცემლობა კოლორი	69,349.84
	3,268,559.75

გაცემული დივიდენდი

პრინტ ჰაუსი	1,437,449.74
რუსლან ჯახაია	80,847.21
დავით ბეგიაშვილი	112,828.28
ნატალია თევდორაშვილი	112,828.28
	1,743,953.51

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

მენეჯმენტის სახელით:

გენ.დირექტორი
ივანე თევდორაშვილი
28.09. 2023
თბილისი, საქართველო

ფინ.დირექტორი
სანდრო გახელაძე
28.09. 2023
თბილისი, საქართველო

PRINT HOUSE INVESTMENT

კონსოლიდირებული
მმართველობითი
ანგარიშგება

2022

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“ (შემდგომში „კომპანია“) 2022 წლის 12 აპრილს. კომპანიის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საინვესტიციო საქმიანობა - შვილობილი კომპანიებისგან დივიდენდების მიღება და გადატანა დამფუძნებლებზე.

2022 წელს დაიწყო პოლიგრაფიული მიმართულების წამყვანი კომპანიების ფავორიტი ჯგუფისა და კოლორ ჯგუფის კომპანიების გაერთიანება ერთობლივი მენეჯმენტის ქვეშ, რის საფუძველზეც შეიქმნა შპს პრინტ ჰაუს ინვესტმენტი. ფავორიტის ჯგუფი წარმოდგენილია დედა კომპანიით შპს „ფავორიტი სტილი“-ს სახით, ხოლო კოლორ ჯგუფი წარმოდგენილია დედა კომპანიით შპს „გამომცემლობა კოლორი“-ს სახით.

2022 წელს შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტის“ მფლობელობის ქვეშ გადმოვიდა და მის შვილობილ კომპანიებს წარმოადგენს შპს ფავორიტი სტილი 50%-იანი წილით და შპს გამომცემლობა კოლორი ასევე 50%-იანი წილით.


შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“-ის 85%-ს ფლობს შპს „პრინტ ჰაუსი“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ივანე თევდორაშვილი. 5-5%-ს ფლობენ შესაბამისად რუსლან ჯახაია, დავით ბეგიაშვილი და ნატალია თევდორაშვილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია ჩუბინაშვილის №50, ძველი თბილისის რაიონი, თბილისი, საქართველო.

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა დამფუძნებელთა კრება, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს მმართველი პარტნიორი, რომელიც კომპანიაში გენერალური დირექტორის პოზიციას იკავებს.

შპს პრინტ ჰაუსი	რუსლან ჯახაია	დავით ბეგიაშვილი	ნატალია თევდორაშვილი
85%	5%	5%	5%

დამფუძნებლები



შპს “პრინტ ჰაუს ინვესტმენტის” ჯგუფში შემავალი კომპანიები ყოველწლიურად, მსოფლიოს მასშტაბით, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებში. მიღებული გამოცდილებით, სიახლეების გაცვლით, ხდება წარმოებაში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა, რაშიც გვებმარებიან მოწვეული, უცხოელი სპეციალისტებიც. მუდმივი ზრდისთვის და განვითარებისთვის კომპანიები ყოველთვის ზრუნავენ თანამშრომლების გადამზადებასა და მოტივაციაზე. 2022 წლის მონაცემით შპს “პრინტ ჰაუს ინვესტმენტის” ჯგუფში საშუალოდ დასაქმებული იყო 579 ადამიანი.

COVID 19-ისა და რუსეთ უკრაინის ომის ზეგავლენა

COVID 19 - ის ზეგავლენით გამოწვეული ცვლილებები:

2022 წლიდან პანდემიის ზეგავლენა ეკონომიკაზე შემცირდა და დაიწყო აღდგენა შენელებულმა პროცესებმა. ამ პერიოდისთვის ჯგუფში შემავალი კომპანიები სრულად დაბრუნებული იყვნენ სრულ სამუშაო რეჟიმში და პანდემიით გამოწვეული ყველა ცვლილება სრულად იყო აღდგენილი.

მიღებულმა გამოცდილებამ კომპანიებში გააუმჯობესა შრომის უსაფრთხოებისა და პირველადი ჯანდაცვის დონე. ასევე ტექნოლოგიების გამოყენებამ აამაღლა ადმინისტრაციის მობილურობა და ეფექტიანობა.

რუსეთ უკრაინის ომის ზეგავლენით გამოწვეული ცვლილებები:

გავლენა იმპორტზე და გაძვირებული ნედლეული:

საომარმა ვითარებამ დიდი გავლენა იქონია იმპორტზე, ჯგუფის კომპანებს მოუხდა გარკვეული პოზიციების ცვლილება, ახალი მომწოდებლების მოძიება ან სხვა არსებული მომწოდებლებისაგან იმ მასალების წამოღება, რომლებზეც შეკვეთის გაფორმება გართულდა კონფლიქტურ ტერიტორიაზე. ჯგუფის კომპანიები ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული რუსულ და უკრაინულ ბაზარზე, თუმცა ომმა გამოიწვია სხვადასხვა ეკონომიკური ცვლილებები, საწვავის გაძვირებით თუ რუსული და უკრაინული გადამზიდავების ბაზრიდან გასვლით. აღნიშნულმა, გავლენა მოახდინა იმპორტის გაძვირებასა და მოწოდების გართულებაზე, შესაბამისად გაიზარდა ტრანსპორტირების ხარჯები, ტრანსპორტირების ხარჯების ზრდამ გააძვირა შესაძენი ნედლეული და მასალების შესასყიდი ღირებულება, გაიზარდა ტრანსპორტირებისთვის საჭირო მოწოდების ვადები. 2022 წლის ბოლოსთვის აღნიშნული მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა, როგორც საწვავის ფასების კუთხით ისე, სატრანსპორტო გადაზიდვების ვადების მხრივ. მოძიებულ იქნა ალტერნატივები, თუმცა შენარჩუნებულია ომამდელ და პანდემიამდელ მდგომარეობამდე მძიმე ვითარება.


კომპანიის საოპერაციო გარემო და წარმოქმნილი რისკების შეფასება

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“ შვილობილი სტრუქტურა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“ 31.12.2022-ის მდგომარეობით ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

- შპს ფავორიტი სტილი - 50 %

პოლიგრაფიულ ბიზნესში ერთ-ერთი წამყვანი კომპანია, შეძენილია 2022 წლის აპრილში, ფლობს მანქანა-დანადგარებს რომლის წარმოება განთავსებულია თბილისში, ენუქიძის N5-ში. მისი იურიდიული მისამართია ჩუბინაშვილის N50. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ბეჭდვითი მომსახურება - წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, ბიზნეს ბარათების, ფლაერების, ბროშურების და შესაბამისი მასალების დამზადება და მიწოდება.

- შპს გამომცემლობა კოლორი - 50 %

კომპანია შეძენილია 2022 წლის მაისში, მისი ძირითადი საქმიანობაა წიგნების და სხვა პოლიგრაფიული მასალების ბეჭდვა. კომპანია ფლობს მიწას, შენობა-ნაგებობებს და მანქანა-დანადგარებს. მისი მანქანა-დანადგარები და ძირითადი საქმიანობა შეუერთდა ფავორიტი სტილის საქმიანობას, რომელიც მდებარეობს თბილისში, ენუქიძის N5-ში. მისი იურიდიული მისამართია თბილისი, ბაღდავაძის N3.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის

კონსოლიდირებული ფინანსური კოეფიციენტები

ფინანსური კოეფიციენტები	2022
საერთო მოგება/შემოსავალი	26%
წმინდა მოგება/შემოსავალი	19%
EBITDA/შემოსავალი	14%
ადმინისტრაციული ხარჯი/შემოსავალი	-12%
წმინდა მოგება/საშ. წლიურ აქტივებთან	35%
წმინდა მოგება/საშ.წლიურ კაპიტალთან	124%

საწესდებო კაპიტალში მომხდარი ცვლილებები

ვინაიდან კომპანია დაარსდა 2022 წელს არ არსებობს შესადარის პერიოდზე ინფორმაცია. 2022 წლის ბოლოსთვის შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტის“ საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს 4,895,658 ლარს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტში“ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

მენეჯმენტის სახელით

გენერალური დირექტორი
ივანე თევდორაშვილი

28/09/2023

თბილისი, საქართველო

ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია კომპანიის მმართველობით ანგარიშგებაში

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტის“ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, შესაბამისად მომზადებული, 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს, კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება მმართველობით კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.

ჩვენ შევასრულეთ გარიგება, ნებადართული მარწმუნებელი გარიგებების, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული).

ჩვენი ფორმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად გააჩნია, ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა, მათ შორის დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები, რომლებიც მოხდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა, შედარება და შეჯერება.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვედრაშია 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“ სახელით
(რეგ. № SARAS-F-329711)

გარიგების პარტნიორი
(რეგ. № SARAS-A-977853)




თამარ კოკელაძე

- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.


2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2023 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:



გენ.დირექტორი
ივანე თევდორაშვილი
28.09.2023

თბილისი, საქართველო



ფინ. დირექტორი
სანდრო გაბელაძე
28.09.2023

თბილისი, საქართველო

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		ლარი	
დასახელება	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022	
აქტივები			
ფული და ფულადი სახსრები	7		1,171,123
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8		8,468,736
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9		9,526,838
გაცემული ავანსები			1,250,122
გაცემული სესხები			1,280,795
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			2,258,136
ძირითადი საშუალებები	6		19,969,909
არამატერიალური აქტივები			162,296
სხვა აქტივები			2,840,802
სულ აქტივები			46,928,757
ვალდებულებები			
სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ			262,540
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10		5,916,005
მიღებული ავანსები			1,449,455
სხვა საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა			508,289
აღებული სესხები	11		25,601,926
სხვა ვალდებულება			596,497
სულ ვალდებულებები			34,334,713
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			4,895,658
გადაფასების რეზერვი			-
გაუნაწილებელი მოგება			3,463,312
არაკონტროლირებადი წილი			4,235,074
სულ საკუთარი კაპიტალი			12,594,044
სულ კაპიტალი და ვალდებულებები			46,928,757

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს.


გენ.დირექტორი

ივანე თევდორაშვილი



სანდრო გახელაძე
ფინ. დირექტორი


შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

დასახელება	2022 წელი
შემოსავალი	72,425,994
რეალიზირებული საქონლის თვითღირებულება	(49,450,963)
საერთო მოგება	22,975,031
ხელფასის ხარჯი	(6,679,659)
ტრანსპორტირების ხარჯი	(166,035)
იჯარის ხარჯი	(1,093,135)
კომერციული ხარჯი	(564,672)
საწვავის ხარჯი	(188,303)
კომუნიკაციის ხარჯი	(62,296)
ელექტროენერგიის ხარჯი	(633,532)
საოფისე და სამეურნეო ხარჯი	(119,888)
რემონტის ხარჯი	(266,602)
მივლინების ხარჯი	(86,054)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(42,239)
საკონსულტაციო ხარჯი	(372,000)
დაზღვევის ხარჯი	(31,401)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(2,414,965)
დაცვის ხარჯი	(16,271)
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	(28,775)
საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი/ამობრუნება	71,646
ქონების გადასახადის ხარჯი	(203,424)
საპენსიოს ხარჯი	(245,836)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(423,132)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(13,566,572)
საერთო მოგება	9,408,459
საპროცენტო შემოსავალი	80,151
მოგება საკურსო სხვაობიდან	3,802,479
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-
მიღებული დივიდენდი	-
სხვა არა-საოპერაციო შემოსავლები	1,527,551
სულ არა-საოპერაციო შემოსავლები	5,410,181
საპროცენტო ხარჯი	(2,334,808)
ზარალი ინვესტიციებიდან	(60,626)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(147,785)
სხვა არა-საოპერაციო ხარჯები	(297,636)
სულ არა-საოპერაციო ხარჯები	(2,840,855)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	11,977,785
მოგების გადასახადის ხარჯი	-
წმინდა მოგება	11,977,785
EBITDA	11,823,424

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს.


 ივანე თევდორაშვილი
გენ. დირექტორი


 საზდრო გახიდაძე
ფინ. დირექტორი

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

დასახელება	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მოგება დაბეგვრამდე	11,977,785
ცვეთა და ამორტიზაცია	2,414,965
ცვლილება პერიოდის განმავლობაში: დეკემბერს მინუს იანვარის ნაშთები	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(9,526,838)
სასაქონლო მარაგები	(8,468,736)
გაცემული ავანსები	(1,250,122)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	508,289
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5,916,005
მიღებული ავანსები	1,449,455
გადასახდელი ხელფასები	262,540
სხვა ცვლილებები	(2,244,305)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,039,039
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
მიწა	(239,571)
შენობა-ნაგებობები	(6,623,037)
მანქანა-დანადგარები	(25,423,452)
კომპიუტერული ტექნიკა	(355,412)
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	(918,547)
ტრანსპორტი	(183,887)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	(597,377)
სხვა ძირითადი საშუალებები	(13,320)
სხვა არა-მატერიალური აქტივები	(316,614)
სხვა ცვლილებები	12,124,048
შვილობილი კომპანიის შეძენა	(2,258,136)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(24,805,307)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
გაცემული სესხები	(1,280,795)
დივიდენდის გაცემა	(4,279,399)
აღებული სესხის ძირის დაფარვა	25,601,926
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	4,895,658
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	24,937,390
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	-
ნეტო ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის განმავლობაში	1,171,123
ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,171,123

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს.

 ივანე თევდორაშვილი
გენ. დირექტორი


 სანდრო გახეჩილაძე
ფინ. დირექტორი


შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	არამაკონტროლებელი წილი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2022	-	-	-	-	-
ჯგუფის მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	5,207,266	5,207,266
ცვლილება	4,895,658	-	6,770,519	-	11,666,177
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი	-	-	(2,535,445)	(1,743,954)	(4,279,399)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	4,895,658	-	4,235,074	3,463,312	12,594,044

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი
იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს.

 ივანე თევდორაშვილი
გენ.დირექტორი

 სანდრო გახელაძე
ფინ. დირექტორი

13. მოგების გადასახადი

ყველა ქართული კომპანიისთვის 2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ძალაში შევიდა ცვლილებები კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. მათთვის აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე, რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული, აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის, გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

14. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები.

ვინაიდან კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობა, 2022 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ოპერაციებს ძირითადად წარმოადგენდა დივიდენდების მიღება შილობილი კომპანიებიდან და გაცემა დამფუძნებლებზე. სხვა ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან ადგილი არ ქონია.

მიღებული დივიდენდი		გაცემული დივიდენდი	
ფავორიტი სტილი	3,199,209.91	პრინტ ჰაუსი	1,437,449.74
გამომცემლობა კოლორი	69,349.84	რუსლან ჯახაია	80,847.21
		დავით ბეგიაშვილი	112,828.28
		ნატალია თევდორაშვილი	112,828.28
3,268,559.75		1,743,953.51	

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

მენეჯმენტის სახელით:

გენ.დირექტორი
ივანე თევდორაშვილი
28.09. 2023
თბილისი, საქართველო

ი. თევდორაშვილი

ფინ.დირექტორი
სანდრო გახელაძე
28.09. 2023
თბილისი, საქართველო

სანდრო გახელაძე

კომპანია შეძენილია 2022 წლის მაისში, მისი ძირითადი საქმიანობაა წიგნების და სხვა პოლიგრაფიული მასალების ბეჭდვა. კომპანია ფლობს მიწას, შენობა-ნაგებობებს და მანქანა-დანადგარებს. მისი მანქანა-დანადგარები და ძირითადი საქმიანობა შეუერთდა ფავორიტი სტილის საქმიანობას, რომელიც მდებარეობს თბილისში, ენუქიძის N5-ში. მისი იურიდიული მისამართია თბილისი, ბაღდავაძის N3.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის

კონსოლიდირებული ფინანსური კოეფიციენტები

ფინანსური კოეფიციენტები	2022
საერთო მოგება/შემოსავალი	26%
წმინდა მოგება/შემოსავალი	19%
EBITDA/შემოსავალი	14%
ადმინისტრაციული ხარჯი/შემოსავალი	-12%
წმინდა მოგება/საშ. წლიურ აქტივებთან	35%
წმინდა მოგება/საშ.წლიურ კაპიტალთან	124%

საწესდებო კაპიტალში მომხდარი ცვლილებები

ვინაიდან კომპანია დაარსდა 2022 წელს არ არსებობს შესადარის პერიოდზე ინფორმაცია. 2022 წლის ბოლოსთვის შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტის“ საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს 4,895,658 ლარს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტში“ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

მენეჯმენტის სახელით

გენერალური დირექტორი
ივანე თევდორაშვილი

ი. თევდორაშვილი

28/09/2023

თბილისი, საქართველო